

## საპრედიტო რისკების შეფასების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება

ეკატერინე თურქია, ზვიად არხოშვილი, ციური ფხავაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება საბანკო საკურედიტო სისტემის ტექნოლოგიური განვითარებისა და სრულყოფის საკითხები. საკურედიტო რისკების შეფასების თვალსაზრისით ყურადღება გამახვილებულია სესხის გაცემის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაზე. ამ თვალსაზრისით შემოთავაზებულია მსესხებლის გადახდისუნარიანობის კვლევის ანალიტიკური და ფორმალიზებული მეთოდები (ანკეტირების, პორტფოლიოს მეთოდები, სკორინგისა და კლასიფიკაციის ხის მოდელები) და ამ მეთოდების ავტომატიზაციის მექანიზმები. პრაქტიკული მაგალითის სახით წარმოდგენილია სესხის გაცემის ბიზნეს-პროცესის აღწერის დაგრამა, სესხის გაცემის კვლევის გადაწყვეტილების მიღების ხის მოდელი და სკორინგის ალგორითმი.

**საკვანძო სტუდენტი:** საკურედიტო რისკების შეფასება. სკორინგის ალგორითმი. გადაწყვეტილების მიღება. ხის მოდელი. ანკეტირების მეთოდი. პორტფოლიოს მეთოდი. მსესხებლის გადახდისუნარიანობის კვლევა.

### 1. შესავალი

საკურედიტო სისტემა, როგორც ფინანსური ინსტიტუტის ერთ-ერთი ბირთვი, პირდაპირ კავშირშია რამდენიმე მნიშვნელოვანი რისკთან, რომელთა შორის კრიტიკულია მსესხებლის გადახდისუნარიანობა. მთებედავად იმისა, რომ წინასწარი შედეგებით მსესხებლი შესაძლებელია იყოს დადგებითად გადახდისუნარიანად შეფასებული, დასაშვებია სესხის ფლობის სრული ციკლის პერიოდში დადგეს მსესხებლის ფინანსური ვალდებულების ვერ შესრულების ეტაპი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საკურედიტო სისტემამ დროულად განსაზღვროს და მიიღოს მონაცემების ისეთი ანალიზი, რომლის ბაზაზეც პრევენციული აქტივობებით დანაკარგების მინიმიზაციას შეძლებს, როგორც მსესხებლის, ისე ფინანსური ინსტიტუტის მიმართ.

ასეთი ტიპის ანალიზი მრავალეტაპობრივია, სადაც ზუსტი, ანალიტიკური მონაცემების დროული მიღებისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სესხის გაცემის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის ფორმალიზებული მეთოდების ავტომატიზაციას.


### 2. ძირითადი ნაწილი

სესხის გაცემის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისთვის არსებობს რიგი მეთოდები და მიღვომები: 1. საკურედიტო ექსპერტების მიერ საკურედიტო რისკების შეფასების მეთოდი (ანკეტირების მეთოდი); 2. სკორინგის მეთოდი - წრფივი და ლოგისტიკური რეგრესიის ბაზაზე (დისკრიმინანტული ანალიზი); მსესხებლის მახასიათებლების (ინტეგრალური მაჩვენებლების) შეწონილი თანხის ბაზაზე; 3. წრფივი პროგრამირება; 4. კლასიფიკაციური და რეგრესიული ხე (გადაყვეტილებათა მიღების ხე); 5. ნეირონული ქსელები; 6. გენეტიკური ალგორითმი; 7. უსტოდების მეზობლის მეთოდი და სხვ.

პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული და მოქნილი მეთოდების თვალსაზრისით საფინანსო საკურედიტო ინსტიტუტებში რეკომენდირებულია - ანკეტირების, პორტფოლიოს მეთოდების, სკორინგისა და კლასიფიკაციის ხის მოდელების გამოყენება [1].

ანკეტირების მეთოდი არის ფინქოლოგიური ვერბალურ-კომუნიკაციური მეთოდი, სადაც რესპონდენტები ინფორმაციის შეგროვების საშუალებად გამოიყენება სპეციალურად და შაბლონურად

გამზადებული კითხვარი - ანკეტა, ქმედებების ან მოვლენების პროგნოზირების მიზნით. სესხის გაცემის კვლევის ეტაპების ფრაგმენტი ანკეტირების მეთოდის ბაზაზე ნაჩვენებია 1-ელ ნახატზე.




ნახ.1. სესხის გაცემის კვლევის ეტაპების ფრაგმენტი ანკეტირების მეთოდის ბაზაზე

საკრედიტო განაცხადების კლასიფიკაციისა და სესხის გაცემის წესების ერთობლიობის წარმოსადგენად მოსახერხებელია გადაწყვეტილებათა მიღების ხის გამოყენება. გადაწყვეტილების მიღების ხე გამოიყენება სტატისტიკისა და მონაცემთა პროგნოზირების მოდელების სფეროში. მას ხშირად სალიტერატურო წყაროებში მოიხსენიებენ ასევე კლასიფიკაციის ხედ და რეგრესირების ხედ. ხის სტრუქტურა შედგება ე.წ. „ფოთლებისა“ და „ტოტებისგან“. „ტოტები აღწერს ატრიბუტებს, რაზეც დამოკიდებულია მიზნობრივი ფუნქცია. „ფოთლები“ ასახავს მიზნობრივ ფუნქციას [3]. მე-2 ნახაზზე ასახულია სესხის გაცემის პროცესის კვლევის გადაწყვეტილების მიღების ხის მოდელის ფრაგმენტი.

მსესხებლის გადაწდიუნარიანობის კვლევის გავრცელებული მეთოდია საკრედიტო სკორინგის ალგორითმი. თუმცა აღსანიშნავია, რომ საკრედიტო სკორინგის მეთოდის გამოყენება ღირებულია მცირე სამომხმარებლო ხასიათის სესხებზე, რაზეც ძირითადი სესხების საკმაოდ მაღალი წილი მოდის რაოდენობრივად. შესაბამისად, საკრედიტო რისკის მინიმიზაციისთვის

პირველადი გაფილტვრის მექანიზმის მხრივ საკმაოდ მოხერხებულია საკრედიტო სკორინგის ალგორითმი.



ნახ.2. სესხის გაცემის პროცესის კვლევის გადაწყვეტილების მიღების ხის მოღელის ფრაგმენტი

არსებობს საკრედიტო სკორინგის რამდენიმე ტიპი: განაცხადის (სააპლიკაციო) სკორინგი (application scoring) – ახალ კლიენტის გადახდის უნარიანობის შეფასება (ანგეტის საფუძველზე); ქცევითი სკორინგი (behavioral scoring) – მიმღინარე კლიენტების გადახდის ქცევის შეფასება გაცემული კრედიტის დაფარვის პროგნოზირებისთვის - საკრედიტო რისკის არწარმოქმნის ანალიზისთვის; ვადაგადაცილებულ სესხებთან მუშაობის სკორინგი (collection scoring) – რისკის შემცირების ღონისძიებების განსაზღვრა არაგადამხდელ კრედიტორებთან სამუშაოდ; თაღლითობის რისკების აღმოფხვრის სკორინგი (fraud scoring) – ახალი კლიენტის კვლევა ფულადი მახინაციების პოტენციური განხორციელების შესაძლებლობების მიმართულებით; რეაგირების სკორინგი (response scoring) – კლიენტების რეაქციის კვლევა შეთავაზებული პროდუქტებზე.

ეს თემა მიეკუთვნება მარკეტინგული კვლევის სფეროს და საბანკო სტრუქტურაში გამოიყენება კლიენტების მართვის სისტემის (CRM – Customer RelationaShip) მხარეს; დანაკარგების სკორინგი (attrition scoring სცორინგ) – კლიენტის სამედოობის შეფასება. ეს თემა ასევე მიეკუთვნება მარკეტინგული კვლევის სფეროს.

სკორინგის მეთოდში ჩადებულია მსესხებლის რიგი სოციალური და ისტორიული მონაცემების კორელაცია, კონკრეტულ მონაცემზე კოეფიციენტის მინიჭებით. მონაცემებს,

მონაცემებზე კოეფიციენტისა და ქულების მნიშვნელობას, საბოლოო ქულის ექვივალენტს განსაზღვრავს კონკრეტული საბანკო საფინანსო ინსტიტუტი და საბანკო მარეგულირებელი ორგანიზაციები (ეროვნული ბანკი, სავალუტო ფონდი და სხვ.), სარისკო გარემოს, ბაზრის, პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით.


სკორინგის ალგორითმი დაფუძნებულია ექსპერტული შეფასების მეთოდებზე, პერძოდ სტრუქტურიზებულ მონაცემებს ენიჭებათ საბანკო ექსპერტების მიერ დადგენილი ქულა. გამოყენებაშია წრფივი და ლოგისტიკური რეგრესიის (დისკრიმინანტული) ანალიზი; მსესხებლის მახასიათებლების (ინტეგრალური მაჩვენებლების) შეწონილი თანხა. ძირითადად, წონითი კოეფიციენტები განისაზღვრება და კორექტირდება სესხების სტატისტიკური მონაცემებით.

მაგალითად, მიღებული სკორინგის მეთოდით გაცემულმა სესხებმა გარკვეული პერიოდის შემდეგ აჩვენა, რომ მდედრობითი სქესის მსესხებლები გაცილებით მაღალ რეიტინგშია საიმედო გადამხდელების თვალსაზრისით და მათი ასაკი ვარირებს 30-45 წლამდე. შესაბამისად, სკორინგის ალგორითმში შემავალი კომპონენტების წონები დაკორექტირდება დადგეთი გადამხდელების მონაცემების შედეგად და წონები გამოითვლება ლოგისტიკური რეგრესიის მიხედვით. რაც შეეხბა, თავად სკორინგის ჯამურ ზღვრულ ქულას, დასაშვებია განისაზღვროს კომპონენტებისა და შესაბამისი წონების საერთო ჯამის მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო მნიშვნელობებით [4].

საკრედიტო განაცხადი (ანკეტა) განისაზღვრება X ფაქტორების (მახასიათებლების) N-არული ვექტორით. მახასიათებლები დასაშვებია იყოს როგორც თვისებრივი (სქესი, განათლების დონე და ა.შ.), რიცხობრივი (მოთხოვნილი საკრედიტო თანხა, მოთხოვნილი ვადა, ინფორმაციის დამალვის რაოდენობა, ჯარიმების რაოდენობა), დისკრეტული (ასაკი, სამუშაო სტაჟი და სხვ.) და მომენტალური (შემოსავალი, ხარჯი, მიმდინარე საკრედიტო თანხა).

სკორინგული ფორმალიზაციისას თვისებრივი მომენტალური დადის წრფივ რეგრესიამდე, რაც ნიშნავს, რომ მნიშვნელობას ენიჭება ექსპერტის (ბანკის) მიერ დადგენილი რიცხვითი მაჩვენებელი, ხოლო, დისკრეტული და მომენტალური მახასიათებელი განისაზღვრება ექსპერტის (ბანკის) მიერ დადგენილ დააზონებზე მინიჭებული ქულებით (მაგალითად, 18-25 წელი).

თითოეული განსილული მოდელი სტრუქტურიზებული და ფორმალიზებულია, რაც აიღებს ავტომატიზაციის მექანიზმების დამუშავებას და მოქნილად ადაპტირდება პროგრამულ კოდში. მე-3 ნახაზზე შემოთავაზებულია კრედიტის გაცემის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის – სესხის გაცემის კვლევის ავტომატიზებული კომპონენტების მიმდევრობითობა ანკეტირების მეთოდისა და საკრედიტო სკორინგის ერთობლივი გამოყენებით.



ნახ.3. საკრედიტო პროცესის ავტომატიზაციის მექანიზმების ფრაგმენტი

### 3. დასკვნა

საბანკო საკრედიტო სისტემა მუდმივად მნიშვნელოვანი, განვითარებადი და პრობლემატური სფეროა. აუცილებელი საკითხია საბანკო საკრედიტო სისტემის როგორც პროცედურული, ისე ტექნოლოგიური განვითარების სრულყოფა. რადგან, საკრედიტო სისტემის მართვა მოიცავს კომპლექსური დარგების ინტეგრაციული კვლევის წარმოებას, სადაც ერთიანდება სტატისტიკური, პროგნოზირების, სახელმწიფოს პოლიტიკურ, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვნებლების ანალიზის, რისკების ანალიზის მეთოდები და ინსტურმენტები. ზუსტი და ხარისხიანი მონაცემების მიღების, მათი ფორმალიზებული ანალიზისა და ადვილად ადაპტირებადი შედეგების მიღებისთვის კი აუცილებელი გზაა საინფორმაციო ტექნოლოგიები.

#### ლიტერატურა:

1. Zhang A., Statistical Methods in Credit Risk Modeling, [http://deepblue.lib.umich.edu/bitstream/handle/2027.42/63707/ajzhang\\_1.pdf?sequence=1](http://deepblue.lib.umich.edu/bitstream/handle/2027.42/63707/ajzhang_1.pdf?sequence=1)
2. Credit Risk Estimation Techniques, [http://www.crisil.com/pdf/global-offshoring/Credit\\_Risk\\_Estimation\\_Techniques.pdf](http://www.crisil.com/pdf/global-offshoring/Credit_Risk_Estimation_Techniques.pdf)
3. <http://www.stathelp.ru/ots/g1p3.html>
4. <http://www.statsoft.ru/solutions/tasks/scoring/>

## **DEVELOPMENT TECHNOLOGICAL PROCESS OF CREDIT**

### **RISK ASSESSMENT**

Turkia Ekaterine, Arkhoshashvili Zviad, Pkhakadze Tsuri

Georgian Technical University

#### **Summary**

In the article issues of technological development and improvement of the banking credit system are discussed. For the assessment of credit risk, the attention is focused on the analysis and decision support of the loan disbursement process. From this perspective, in the represented article formalizing and analytical methods (methods of questioning and portfolio, models of credit scoring and classification tree) of researching creditworthiness of the borrower and automating mechanisms of these methods are suggested. As the practical example there are represented business-processes diagram of loan disbursement, decision tree model and credit scoring algorithm for research of loan disbursement.

## **РАЗРАБОТКА ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОЦЕНКИ**

### **КРЕДИТНОГО РИСКА**

Туркия Е., Архошашвили З., Пхакадзе Ц.

Грузинский технический университет

#### **Резюме**

Рассматриваются вопросы технологического развития и совершенствование кредитной системы банков. Для оценки кредитного риска внимание фокусируется на анализе и поддержки принятия решений выдачи кредита. С этой точки зрения в статье предлагается формализованные и аналитические методы (методы анкетирования и портфолио, модели кредитного скоринга и дерева классификации) исследования кредитоспособности заемщика и механизмы автоматизации этих методов. В виде практического примера в статье предложены - диаграмма описания бизнес-процессов выдачи кредита, модель дерева принятия решений и алгоритм скоринга для исследования выдачи кредита.

სტატია იმუშავება შთავა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (ვრაშტი № PG/63/4-100/13).

*The Article is printed by Financial Support of Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № PG/63/4-100/13).*